ეროვნული ბიბლიოთეკა


# სახალხო გაზეთი

## სურათებიანი დამატება

გაზეთის № 128. კვირა, 10 ოქტომბერი 1910 წ. დამატების № 22




**მხიარული სტუმარი,** — სურათი კლამპანერისა.

# ლ ა ნ დ ი ა

**დრამატი-ული თხზულება ოთხ ნაწილად.**

(შემდეგი *)

**ლ ა ნ დ ი ა**

ცხოვრების კვალი მოგონებაა, მის მიზანი კი ტკბილი ოცნება.

**მ ე გ ო ბ ა რ ი**

ღირს მოგონება, რაც ცხოვრებაში აღარადროს არ გამეორდება? რაც დროების თვალ უწვდენ უფსკრულში სა- მარადისოდ გადაჩეხილა, ვეღარ მისწვდება ცხოვრების ღელვა, ჰექა-ქუხილი და ქარიშხალი; მხოლოდ ხან და ხან იმის წყვდიადში ჩაიხედავენ მოგონებანი. შემდეგ გაჰქრება თვით ეს წყვდიადიც, დავიწყებაში ჩაილუპება, შემდგომ მის სიღრმეს ვეღარ ჩასწვდება ვეღარც სიზმარი, ვერც მო- გონება.

ღირს კი კაცისთვის ტკბილი ოცნება, მასში სიცო- ლი და ნეტარება, როცა ყოველ მხრით მას ემუქრება დროთა ბრუნვისა მძლე ქარიშხალი, როცა უჩინრად და თვალ ხილულად თავზე ატყდება ჰექა-ქუხილი; როცა ყო- ველ წამს, ყოველ ნაბიჯზე ბრძოლა! თხოულობს დაუ- ნებლივ ან ამ ბრძოლაში მოჰკვდები ადრე, ან თუ მიაღ- წევ, მთლად დაქანცული, აღარ გეყოფა ძალი და ღონე, რომ დასტკბე, რასაც ბრძოლით ეძებდი.

* ი'. სურათებიანი დამატება № 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან თვით ნაყოფი მაგდენის ცდისა ისე მცირეა და უმნიშვნელო, რომ მას არ ძალუძს გამოისყიდოს იმდენი შრომა, დაქანცულობა. ეჰ, მცირე სიტკბო დიდ ბრძოლის შემდეგ სიფუჭეა და ამაოება!

### ლ ა ნ დ ი ა

მაგრამ სიცოცხლე რად არის ესრე წარმტაცი ტკბილი და მიმზიდავი? უჩინარ ძალით კაცს რად იმონებს? მის სულს და გულში, მთელ არსებაში ძლიერის გრძნობით რად ექსოვება? მთლად განწირული მწარე ცხოვრებას რატომ ადვილად არ ეთხოვება?

### მ ე გ ო ბ ა რ ი

არ ვიცი, არ ვიცი, ჩემო ლანდიავ! ჯერ მაგ კითხვაზე ვერ გიპასუხებ.

რომ ვსთქვა შიშით და ან სისუსტით, იქნება შევსცდე, შესაძლო არის. იქნებ მიზეზი ისე ღრმათვეა, როგორც ღრმა არის თვით ქვეყნის გული? კიდევ ვიფიქრებ, შემდეგში გეტყვი, დღე ბევრჯერ კიდევ გაგვითენდება.

### ლ ა ნ დ ი ა

რა რიგ მიმწარებ შენ მე სიცოცხლეს? ზოგჯერ განგებათ მე ყურს ვიყრუებ, არ მსურს გავიგო შენი სიტყვები, მაგრამ ისინი მაინც ჩემ ჯიბრზე გულში მწვდებიან როგორც ისრები.

### მ ე გ ო ბ ა რ ი

აწ მოგშორდები ცოტა ხნით მაინც, ხელს არ შეგიშლი მუშაობაზე.

*მოშორდება და ახრდილივით დაიწყებს აქეთ-იქით სიარულს.*

*ლანდია კი განაგრძობს ერთგულად მუშაობს.*

### ლ ა ნ დ ი ა

ჰოა, ღვთიურო ზეშთაგერავ, მოფრინდი ჩემთან! ჩემ ქმნილებაში მსურს შთაგბერო მე ცხოველ სულად!

ოჰ, მწუხარების ძლიურო გრძნობავ, ვით ქვეყნის ბედო! შენი ნიავით მსურს დავბერო ამ ჩემ ქმნილებას, რომ მის თვალებში გამოვხატო სამშობლოს ბედი და ვაგრძნობინო ყველას მისი სულისკვეთება.

ძლიერო ნიჭო, შემოქმედო, სულის შთამბერო, გრძნობის აღმძვრელო, ღვთიურ ცეცხლის გულში აღმგზნებო, მოჰქროლდი ჩემთან და შენი შუქით, გთხოვ გამინათო გული, გონება, რომ ამით შემდეგ ჩემსა ქმნილებას შარავანდედი გარს მოვაფინო.

*გამბედავად დაიწყებს საჭრეთლით მუშაობას. უცებ მცირე ნაჭრები სცვივიან ქანდაკებას.*

### მარმარილოს ნაჭრები

რა ჰქენი, რა გვიყავ! რად ჩამოგვჭერი? მოუხეშავად რად ჩამოგვთალე. შენ ქანდაკებას გვინდოდა ჩვენით ახალი სხივი შეჰმატებოდა. ის ამ სინათლით გაშუქებული შუნ სასურველად გადიქცეოდა.

### ლ ა ნ დ ი ა

ოჰ, მწუხარებავ, გამიპე გული! უგუნურობავ გამიხმე ხე[illegible]. რა დამემართა! რა მომივიდა!

### მარმარილოს ნაჭრები

ჩვენ ვიყავთ ისინი, ვისშიაც ჰქროდა შენი ქმნილების ძლიერი სული; ვისშიც გინდოდა ტანჯვასთან ერთად გამოგეხატა ტკბილი იმედი.

ჩვენ ვართ, ლანდიავ, ჩუმი სიამე. მის სახეს უნდა ჩავნერგილიყავით და სასომიხდილს ტკბილი იმედის ღიმილად უნდა მოვლენილიყავით.

### ლ ა ნ დ ი ა

არ მარგებს წუხილი, დიაცებრ ცრემლის ღვრა! მდიდარი არის მარმარილოს ქვა. ერთის სანაცვლოდ მეორეს ვპოვებ და ჩემ სურვილსაც იქ გამოვხატავ.

*განაგრძობს მუშაობას და თან დიდინებს გულგასაქარვად ტკბილად და წყნარად.*

ფრთა ფრთას შემოჰკარ ტკბილო ოცნებავ, გადამაცილე დღევანდელ ღრუბლებს, იქ ველოდები ჩემ გამარჯვებას, დაუღამებელ ნათელსა დღეებს.

დღეის ჩემ წუხილს ხვალისთვის შესცვლის ტკბილი სიამე და ნეტარება; ერთ სიხარულზე, უკვე დამჭკნარზე ხვალ სხვა ყვავილი აღმოცენდება და სხვა სიხარულს მაყნოსებს კვალად მისი სინაზე და სურნელება.

რა სევდას ძალუძს, მოჰგვარის ცრემლი ჩემ ტკბილ ოცნებას და ნეტარებას!

ან რა ღრუბლები, დააბნელებენ ჩემი იმედის მძლავრ სხივოსნებას!

რა დამარცხება მოჰფინავს წყვდიადს ხვალის ჩემ იმედს და გამარჯვებას?

რა უიმედო სასოწარკვეთა შესძლებს დამიჭკნოს მე ხვალის რწმენა!

მიყვარს ოცნება, მიყვარს იმედი, მიყვარს იმათი დანაპირები! იქ ვყვავი, იქ ვხარობ, იქ დავხარხარობ, ვამარცხებ, ვიმარჯვებ და დავნეტარობ.

*შესწყვეტს ლაპარაკს, მაგრამ თანდათან ჩუმ ოცნებაში ღრმათ ჩაიფლობა. ტკბილი იმედით ფრთებ გამობმული აწმყოს საზღვრებზე გადაფრინდება.*

### ლანდიას ოცნება

*ლანდიას პირდაპირ ერთი ფანჯრიდან მოსჩანს იმისი ხვალის ოცნება: პატარა სერზე ამწვანებულზე ბუჩქის ძირსა ზის ჩვენი ლანდია და იმის გვერდზე გიჟმაჟათ დახტის სამი-ოთხი წლის კოხტა ბიჭუნა.*

### ლ ა ნ დ ი ა

არ გამიცრუვდა ჩემი ოცნება, შვილი მყავს მართლა რომ სანატრელი, იმის აღზრდაში, კარგად გაწვრთნაში მე სიტკბოს ვპოვებ და გავერთობი.

თითქოს ჩემ ტურფას თავის ნაზი გრძნობა ამ ბავშვის ხორცად გადუქცევია; თავის სინაზით, უმანკოებით ამისთვის ძუძუ უწოვებია, ტრფობის წყურვილი, გრძნობათა ღელვა ნანინად ყურში უწვეთებია და სხივთა კრთომა თვის სილამაზის ამის სახეში გადუნერგია.

ეტყობა მუქთად არ ჩაუვლია ჩემს აღტაცებას ტურფას შეხვედრით და იმის სულში აღმოცენილა ეს ანგელოზი და ნორჩი ვარდი.

არც სიხარული, არც გრძნობათ ღელვა, არც იდუმალი გულის სიამე, უხილავ ქვეყნით, უხილავ სახით ვითა გრიგალი გულში რომ მბერდა, არ დაკარგულა ამაოდ ვხედავ, სხვა სიხარულად გადაქცეულა, სხვა გრძნობა ღელავს დაუდეგარად და სხვა სიამის ნიავად დამბერს, სადაც კვალად ვგრძნობ უმაღლეს შვებას.

აქ მოდი ცელქო, კალთას ჩამიჯექ, აქ დაისვენე, და შემჩერე ყვავილთა გლეჯა და ფეხქვეშ თელვა.

მიირბენს ბავშვი და კალთაზე წამოუჯდება.

აბა მითხარი, გიქო პიჭუნავ, რა შემოგჩივლეს ამ ყვავილებმა, როცა სწყვეტავდი დაუნდობელად?

პასუხის ნაცვლად პატარა ცელქი კალთაში მაგრათ ჩაეხუტება.

წელან რომ ჩიტებს ქვები ესროლე და ყველა ერთად წამოაფრინე, თავიანთ ქღმურტულით რა შემოგჩივლეს, აბა მითხარი, ვერ გაიგონე?

შერცხვენით უფრო ჩაეხუტება და თავს ჩაჰმალავს მამის კალთაში.

### ცელქი

შენ მითხარი, რასაც ამბობენ!

### ლანდია

კარგი! მე გეტყვი. ცელქი ჩიტები იცი, ბიჭს რას ჩაეღმურტულობდენ?

„კარგი ბიჭუნა გაიზარდეო,
შენი დედამა გაახარეო!
ქვებს ნულარ გვესვრი, ნულარ დაგვაფრთხობ, ყველა ჩიტები შეგვიყვარეო!“.

უცებ გაისმის კარის კაკუნი. ლანდია წამსვე გამოფხიზლდება და შემკრთალივით ფეხზე დადგება და მის ძვირფასი ტკბილი ოცნება, ვითა სიზმარი ისე გაჰქრება,

კარები გაიღება და ოთახში შემოდიან შუახნის ცოლ-ქმარნი, შავებში ჩაცმულნი; მწუხარება სახეს დაჰგლოვის, გულ დათუთქულნი, დადგრემილნი სალამს უძღვნიან.

### ცოლ-ქმარი

ბატონ ჩვენსას მდაბალ სალამს მივუძღვნით გულით...

### ლანდია

და პასუხად უფრო მდაბალს მოგიძღვნით სალამს! გთხოვთ დაბრძანდეთ!

ცოლ-ქმარნი დასხდებიან.

### ქმარი

ორი კვირაა, რაც ძვირფასი მოგვიკვდა შვილი. ჩვენი ნუგეში სამუდამოდ დავასამარეთ; აღარ მოგვივლენს ის სიხარულს, სიცოცხლის ნუგეშის და საფლავამდის იგი უნდა ვიგლოვოთ მწარედ.

### ცოლი

ჩაგვიდა მზე! შეგვიმოკლდა დღე! მთლად მოიწამლა ჩვენი სიცოცხლე!

### ლანდია

მერე მე რით შემიძლიან განუგეშოთ ბედკრულები?

### ქმარი

თვით ღმერთიც ვერ გვანუგეშებს გულდათუთქულთა, მგლოვიარეთ და ვით ძალუძთ მოგვანიჭონ ჩვენ ნუგეში ადამის ძეთ?

## ფინლიანდიის საზოგადო მოღვაწენი



სვინჰუვუდი, სეიმის თავმჯდომარე.



სიროლა ს.-დ. ბელადი.



ლეო მეხელინი.



მინა სილლანპოა—დეპუტატი ქალი ს.-დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ლ ა ნ დ ი ა**

მაშ მიბრძანეთ, სხვა რა გნებავთ და ან რითი გემსახუროთ?

**ქ მ ა რ ი**

ჩვენ გავიგეთ, თურმე თქვენ ხართ საუცხოვო მექანდაკე, საფლავის ქვებს კარგს ამზადებთ და ამსგავსებთ ძვირფას რამეს.

**ც ო ლ ი**

ერთი ჩვენი ნაცნობისთვის თურმე გაგიკეთებიათ, დღე და ღამე თქვენ გიმადლით, თქვენ გახსენებთ ლოცვებშია.

**ქ მ ა რ ი**

ეხლა ჩვენც გთხოვთ მოწყალეო, ნუ დაზოგავთ ჩვენთვის შრომას! ერთი ძეგლი გაგვიკეთეთ ჩვენი პირმშოს საფლავზედა: შესაფერის ჯილდოს მოგცემთ, ჩვენ კი ჩავთვლით მას საჩუქრად. თვი ღმერთიც-კი დაგიმადლით სიკეთეზე, კარგ საქმეზე!

**ლ ა ნ დ ი ა**

ბევრი თხოვნა რად გჭირდებათ, ეგ ხომ ჩემი ხელობაა. რასაც მეტყვით—შევასრულებ, უარს როგორ შემოგკადრებთ.

**ც ო ლ ი**

ერთი პატარა ანგელოზი გააკეთევით. პატარა ფრთები მაღლა ცისკენ ააშვერინეთ, თითქოს უმანკო გასაფრენათ ემზადებოდეს; არც მწუხარება, არც ცრემლები მას არ ერევა რომ სამუდამოთ ამ ქვეყანას იგი ჰშორდება, იმის ნაზ სახეს ნეტარება ზედ დასთამაშებს, რომ ცას მიჰფრინავს და იქ ჰპოვებს თვის იმხანაგებს.

როცა შევხედავთ იმის სახეს, ჩვენც გავიღიმებთ, იმის სიცელქეს, იმის თამაშს წამს მოვიგონებთ, და გამწარებულ ჩვენ სიცოცხლეში ამ თითო წამით ხომ გავიხარებთ?

**ქ მ ა რ ი**

ოჰ, ჩემი ცოლი რა კარგად ასწერს ჩემი უმანკოს საძვგლე სურათს.

**ლ ა ნ დ ი ა**

ეგრეთი გრძნობით აწერა შეუძლიან მხოლოდ მწუხარს.

**ქ მ ა რ ი**

აჰა, გეთაყვათ, ბეთ მოგართმევთ ეხლა ორ თუმანს, რომ გაათავებთ, დანარჩენსაც მაშინ მოგართმევთ.

**ლ ა ნ დ ი ა**

ძალიან კარგი! თვე ნახევრის შემდეგ იქნება, მთელი ძეგლი კი თხუთმეტ თუმნამდის ეღირება.

**გამოართმევს ორ თუმანს.**

**ქ მ ა რ ი**

მე თანახმა ვარ, რაც ეღირება. ჩვენ მტკიცედა გვწამს, არ მოგვატყუებთ.

ეხლა მშვიდობით, ჩვენო ბატონო! ყველას სიკეთეს ვისურვებთ, თქვენთვის. დაე, ღვთის კალთა მარად გფარავდეს და გამარჯვებას მოგანიჭებდეს.

**ც ო ლ ი**

მშვიდობით ჩვენო კეთილო მყოფელო! ჩვენი ნუგეშის მომნიჭებელო! დღე და ღამ მარად თქვენთვის ვილოცებ და თქვენ სიკეთეს ღმერთთან ვინატრებ.

**ლ ა ნ დ ი ა**

ნახვამდის, კეთილნო ადამიანნო! მეც შევეცდები ჩემის ძალ-ღონით, შვება რამ თქვენ გულს რომ მოვანიჭო!

**ცოლ-ქმარნი გადიან.**

**აქამდის ჩუმათ მოსეირნე, უცებ გამოდის მეგობარი. თან დამცინავად თან სინანულით ერთი მძიერათ გადიხარხარებს.**

**მ ე გ ო ბ ა რ ი**

ჰა-ჰა-ჰა-ჰა-ჰა! ჩემო ლანდიავ! მითხარი, რატომ არ გეცინება?

**ლ ა ნ დ ი ა**

აქ სასაცილოს მე ვერას ვხედავ! შენ კი რამდენიც გსურს იხარხარე!

**მ ე გ ო ბ ა რ ი**

გახსოვს, ამაყათ რომ გაიძახდი! „ქვას ხორცად ვაქცევ, და აზრს კი—სულად, ორთავეს ერთად—შემოქმედებად!..“

მაშინ თვით მთანიც კი შედრკებოდენ ძლევა მოსილის შენის რწმენითა და შენ მაღლად მფრენ იმედოვნებას მეც გავუღიმე მცირე ქებითა.

ეხლა რას ვხედავ! აქნობამდისინ ჯერ არსად გიჩანს შემოქმედება! საფლავის ქვებზე მუშაობ მხოლოდ და შენი ნიჭიც ამაში ჩნდება.

**ლ ა ნ დ ი ა**

მაინც თავისას გაიტანს ნიჭი! ადრე თუ გვიან ის აჰყვავდება და აწ ყოველთვის შეუმჩნეველი მზეთა და მთვარედ ამობრწყინდება.

**მ ე გ ო ბ ა რ ი**

კიდევ იმედი! კიდევ ოცნება! მაშ მეც ვენდობი, რა მეკარგება!

**ლევ. მეტრეველი.**

შემდეგი იქნება

**ოქტომბ 15 რიცხვამდე გამოვა**



გამოცემა
**მიხეილ ნემსაძისა**
ფასი 10 კაპეიკი.

**ადრესი:**
ტფილისი, ქართველთა ამხანაგობის სტამბა.